საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, გულუას ქ. №22-ში, სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის (ს/კ 01.18.05.001.090) საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“.

შპს „არქი ჰოთელი-ის ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2019 წლის ოქტომბერში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, გულუას ქ. №22-ში, სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე (ს/კ 01.18.05.001.090) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, გულუას ქ. №22-ში, სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე (ს/კ 01.18.05.001.090) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს საინჟინრო გეოლოგიური განყოფილების მიერ 2018 წლის აგვისტო-სექტემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი ნი ილაშვილი. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების თვისებების გამოკვლევები და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები. რაც შეეხება კლდოვან ქანებს, მათი თვისებები გამოკვლეულია გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 8 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. მიწერილობა ---------- 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე---------- 3 გვ.
5. ცხრილი გრუნტების დამარილიანებაზე---------- 1 გვ.
6. ცხრილი გრუნტების გრანულომეტრულ შედგენილობაზე ---------- 1 გვ.
7. ცხრილი გრუნტის წლის ქიმიურ შედგენილობაზე, დასკვნით------- 4 გვ.
8. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
9. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 2 ფურც.
10. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 4 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს მრავალსართულიანი, სასტუმრო. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 4 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე 72.0 მ-ს შეადგენს. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები გრუნტების თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 – რიყნარი, ქვიშის 25%-მდე შემავსებლით;
3. ფენა 3 – ძირითადი ქანი, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული;
4. ფენა 4 – ძირითადი ქანი, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, ნაკლებად გამოფიტული.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და კლიმატური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება და მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. როგორც ანგარიშშია აღნიშნული მოედნის სულ ზედა ფენა წარმოდგენილი არის ნაყარი გრუნტით, იგი არ გამოდგება შენობის ფუძე-გრუნტებად და ამიტომ მათი თვისებები არ განხილულა. მოედნის შემდეგი ფენა წარმოდგენილია მსხვილნატეხოვანი გრუნტით, ქვიშის შემავსებლით. მისი სიმძლავრე 4.4-4.8 მეტრს შეადგენს. როგორც გრანულომეტრული შედგენილობიდან ჩანს, გაბატონებული ფრაქცია გახლავთ ფრაქცია – (50-20) მმ. გრუნტის ქვარგვალების ზედაპირი კარგად არის დამუშავებული წყლის გეოლოგიური მოქმედების შედეგად. მოედნის შემდეგი ფენა ძირითადი ქანებით, მესამეული ასაკის არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობით არის წარმოდგენილი. განსაზღვრულია ქანების სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე. შედეგები მოცემულია ცხრ. №1-ში. როგორც ამ შედეგებიდან ჩანს არგილითები (ფენა 4) მიეკუთვნება ნახევრადკლდოვან გრუნტებს (R_c<4.3 მპა), მათი სიმკვრივე საშუალოდ შეადგენს 2.21 გ/სმ^3. რაც შეეხება ქვიშაქვებს, ისინი მიეკუთვნებიან საშუალო სიმტკიცის კლდოვან გრუნტებს (R_c=21.8 მპა), ხოლო სიმკვრივე შეადგენს ρ=2.41გ/სმ^3. არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობის შეფარდებაა 60:40. ძირითადი ქანების წოლის ელემენტებია: მიმართების აზიმუტი ს.დ. 330^0, ხოლო ქანების დახრის კუთხეა 20-25^0. საერთოდ გულუას ქუჩა ხასიათდება მცირე დახრით და მეწყერული პროცესების განვითარება მთელ ტერიტორიაზე არ აღინიშნება. საინჟინრო გეოლოგიური პროცესების განვითარების მხრივ

ტერიტორია მდგრადია, უარყოფითი საინჟინრო გეოლოგიური პროცესების განვითარება (მეწყერი, ზვავი, კარსტი) ტერიტორიაზე არ აღინიშნება.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი დაფიქსირდა მიწის ზედაპირიდან 3.0-3.2 მ. სიღრმეზე (დამყარებული დონე 2.5 მ). წყალი არ არის აგრესიული ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, თბილისში, გულუას ქ. №22-ში, სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე (ს/კ 01.18.05.001.090) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/



საქართველოს რესპუბლიკა
მოქალაქის პირადობის მოწმობა
პირადი № 01026010589
სახელი გიგა
გვარი წოსონელიძე
დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.
დაბადების ადგილი თბილისი
ეროვნება ---
№ 0266413
პირადი ხელმოწერა



მოქალაქეობა ---
მონმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს
რაიონის შ.ს. მეორე პოლიციის განყოფილება
გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.
მოქმედების ვადა ---
ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა

CV - ჭოხონელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ; სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულების ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფია „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები“ (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები“ (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობებ; გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობა დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები“ (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები“.
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით

АТТЕСТАТ

ПРОФЕССОРА

ПР № 005702

Москва

Решением
Высшей аттестационной комиссии
при Совете Министров СССР
от 23 ноября 1979 г. (протокол № 37)

Чохелидзе Гуле Ильиче

присвоено ученое звание

ПРОФЕССОРА

ПО КАФЕДРЕ

гидрогеологии и инженерной геол

Председатель
Высшей аттестационной комиссии

Главный ученый секретарь
Высшей аттестационной комиссии

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე
ჭოხონელიძეს
მასზე, რომ იგი 1961 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
აღნიშნული ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია
და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ.
30 ივნისის № 8 დადგენილებით
გ.ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა
სამთო ინჟინერ
ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე [illegible]

[illegible]

[illegible]

ბ.ა.

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი

სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский ...